ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №2577366

ნომერი: AR1400837

თარიღი : 30.04.2016

გაცემის თარიღი : 10.05.2016

გაცნობის თარიღი : 16.05.2016

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა ჭირნახული , N1-ის მიმდებარედ , (ნაკვ. 03/029) ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- შალვა ქურიძე პ/ნ 01017007533
- თბილისი გ.ახვლედიანის ქ. N 25

ნომენკლატურა :

- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები
- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დადგენა
- საყოფაცხოვრებო მომსახურეობის ობიექტები
  - სამრეცხაო-ქიმწმენდა

....ობიექტის ფუნქციური დანიშნულება :

- ....ქმედებები: 1662.0

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების, "დედაქალაქის პერსპექტიული განვითარების გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის

გადაწყვეტილება

თქვენი 2016 წლის 30 აპრილის #AR1400837 განცხადების პასუხად, რომლითაც ითხოვთ საკადასტრო გეგმით #01.19.14.003.125 მიწის ნაკვეთზე თვითმომსახურების ავტოსამრეცხაოს მოსაწყობად, მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების მომზადებას, გაცნობებთ შემდეგს:

ქალაქ თბილისის ტერიტორიაზე გამოყოფილ ფუნქციურ ზონებს შორისაა სარეკრეაციო ზონა 1 (რზ-1), ამ დადგენილების 19-ე მუხლის ჯვ პუნქტის მიხედვით სარეკრეაციო ზონა 1 (რზ-1) წარმოადგენს სარეკრეაციო ზონას, რომელიც მდებარეობს განაშენიანებული ტერიტორიების საზღვრებში და მოიცავს გამწვანებულ ტერიტორიას (მაგ: ბაღი, ბულვარი, სკვერი, გაზონი და სხვა) აღნიშნულ ზონაში დაუშვებელია ყოველგვარი მშენებლობა გარდა: განათების, სარწყავი სისტემის, სარეკლამო ბილბორდის და დეკორატიული გაფორმების ობიექტების.

`მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ~ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების მე-5 მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, მიწის ნაკვეთები სამშენებლო საქმიანობისათვის გამოყენების შესაძლებლობების მიხედვით იყოფა სამშენებლო მიწის ნაკვეთად, სამშენებლოდ შეზღუდული მიწის ნაკვეთად და სამშენებლოდ შეუსაბამო მიწის ნაკვეთად. აღნიშნული დადგენილების მე-7 მუხლის მიხედვით სარეკრეაციო ზონა 1 (რზ-1) ზონაში მდებარე მიწა არის საშენებლოდ განსავითარებლად შეზღუდული სტატუსის მქონე.

თქვენს მიერ წარმოდგენილი დოკუმენტებიდან და შესაბამისი ზონირების რუკებიდან ირკვევა, რომ მიწის ნაკვეთი, რომელზეც ითხოვთ ქალაქმშენებლობითი პარამეტრების გაზრდას, მდებარეობს სარეკრეაციო ზონა 1 (რზ-1)-ში, რის გამოც კანონმდებლობით მისი სამშენებლოდ განვითარება ვერ განხორციელდება.

შესაძლებელია იყო მთლიან ტერიტორიაზე ფუნქციური ზონის ცვლილების საკითხის დაყენება, რომელიც უკვე განიხილა „ქ. თბილისი ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების საკითხთა საბჭომ“, რომლის წევრთა დადებითი რეკომენდაციების საფუძველზე საკითხი გადაგზავნილ იქნა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოში საიდანაც შესაბამისი პასუხი არ დაფიქსირებული.

საკრებულოს დადებითი პასუხის შემთხვევაში შესაძლებელი იქნება აღნიშნულ მიწის ნაკვეთზე მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების მომზადება მინიჭებული ფუნქციური ზონის შესაბამისად.

გაითვალისწინეთ, თქვენი მხრიდან კვლავ არასრულყოფილი და ხარვეზების შემცველი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემთხვევაში, აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, სამსახურის ტექნიკური პრობლემების ცხელ ხაზზე - 2378346, ან ისარგებლოთ არქიტექტურის სამსახურის ონლაინ კონსულტაციის სერვისით, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.
- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.